DOI.org/10.52340/PUTK.2024.28.10

# სიკვდილ-სიცოცხლის საკითხის გააზრება დიმიტრი უზნაძის ფილოსოფიაში

# UNDERSTANDING OF THE MATTER OF LIFE AND DEATH IN THE PHILOSOPHY OF DIMITRI UZNADZE

**გოდერძი თევდორაძე**
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

**Goderdzi Tevdoradze**
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

**ABSTRACT**

Dimitri Uznadze is arguably one of the most prominent 20th-century Georgian philosophers who made substantial contributions to the philosophical study of history. He began his career as a schoolteacher and textbook writer. His extensive pedagogical and philosophical expertise, combined with his depth of thought and extensive experience teaching history, resulted in the creation of significant works in the field of philosophy of history.

Through a rigorous scientific understanding and substantiation of the phenomena of war and death, Dimitri Uznadze uses his best endeavors to reveal the very essence of life. In his opinion, history is shaped by humans, and everything in it is significantly influenced by human mindset in terms of aspirations and how conscious they are of their behavior.

Dimitri Uznadze investigates the theme of war in his exploration of the philosophy of history, primarily to determine whether war should be considered a constant companion to humanity. Without a doubt, the answer to this is ”no.” War may produce daring and high-spirited heroes such as Hannibal or Joan of Arc, but it would be an exaggeration to call it an intrinsically inherent aspect of human history.

**საკვანძო სიტყვები: ისტორიის ფილოსოფია, სიკვდილ-სიცოცხლის ფენომენი, დიმიტრი უზნაძის ფილოსოფიური აზროვნება.**
**Keywords: philosophy of history, concepts of life and death, Dimitri Uznadze›s philosophical thought.**

**შესავალი**

XX საუკუნის პირველი პერიოდის ქართველ ფილოსოფოსთა შორის, ვინც დიდი წვლილი შეიტანა ისტორიის ფილოსოფიური კვლევის საქმეში, იყო დიმიტრი უზნაძე. იგი გარკვეული დროის განმავლობაში სკოლებში თავად ასწავლიდა ისტორიას და რამდენიმე სახელმძღვანელოც კი გამოაქვეყნა. ფილოსოფიურმა და პედაგოგიურმა განსწავლულობამ, აზროვნების სიღრმემ, აგრეთვე ისტორიის სწავლების დიდმა გამოცდილებამ მეცნიერს მისცა შესაძლებლობა შეექმნა საყურადღებო ნაშრომები ისტორიის ფილოსოფიაში, კერძოდ, მას ეკუთვნის წერილები: ომის ფილოსოფია (გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 1914), ცხოვრების რაობა (გაზეთი ,,მეგობარი“, №69, 1915). აღსანიშნავია, რომ მის მიერ დასმულ კითხვებს ცხოვრებაც აყენებდა. 1914 წელს დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. ეს იმას ნიშნავდა, რომ ყველამ ერთდოულად ჩახედა სიკვდილს თვალებში. აქტუალური გახდა საკითხი სიკვდილის ბუნების შესახებ და მეცნიერმაც მას საფუძვლიანი გამოკვლევა მიუძღვნა.

ისტორიის ფილოსოფიის კვლევის დროს დიმიტრი უზნაძე აქტიურად განიხილავს ომის თემას – ხომ არ უნდა მივიჩნიოთ ომი კაცობრიობის მუდმივ თანამგზავრად? პასუხი ამ შემთხვევაში ცალსახად უარყოფითია. მართალია, ომი წარმოშობს მაკედონელებს და ჟანა დარკებს, ამაღლებული სულის რაინდებსა და გმირებს, მაგრამ მისი გამოცხადება ისტორიის საზრისის მიმნიჭებლად მაინც გამორიცხულია.

დიმიტრი უზნაძე სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ აქტიურად იკვლევდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: მეტაფიზიკა, პიროვნების მსოფლმხედველობა, არაცნობიერი ფსიქიკური და სხვა. გარდა ფუნდამენტური შრომებისა, მეცნიერი ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური ხასიათის წერილებს აქვეყნებდა იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში (,,დროება“, ,,სახალხო გაზეთი“, ,,სახალხო ფურცელი“, თბილისის უნივერსიტეტის ,,მოამბე“). 1911 წელა გაზეთ „კოლხიდაში“ დაიბეჭდა დიმიტრი უზნაძის მნიშვნელოვანი ნაშრომი ,,ფილოსოფიური საუბარი. სიკვდილი“.

დიმიტრი უზნაძის მდიდარი ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიური მემკვიდრეობა კარგადაა შესწავლილი ქართველი და არა მარტო ქართველი მეცნიერების მიერ. 2013 წელს გამოქვეყნდა ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის IV ტომი, რომელშიც სათანადოდაა შეფასებული დ. უზნაძის უდიდესი დამსახურება. წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ დ. უზნაძის ფილოსოფიური ხასიათის კვლევებს, რომლებიც ისტორიის ფილოსოფიის საკითხებს შეეხება. მეცნიერი მუდმივად ეხმიანება იმდროინდელი ფილოსოფოსების ნააზრევს და საჭირო შემთხვევაში არც მკაცრ კრიტიკას არ ერიდება.

**მეთოდოლოგია**

დიმიტრი უზნაძის მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობიდან გავაანალიზეთ ის ნაშრომები, რომლებიც უშუალოდ განსახილველ საკითხთან არის დაკავშირებული. მათი შესწავლა-გააზრებისას ვისარგებლეთ ურთიერთშედარების, შეჯერებისა და კრიტიკული ანალიზის მეთოდებით. გამოიკვეთა მეცნიერის კავშირი ევროპელ ფილოსოფოსებთან საკვლევ პრობლემასთან მიმართებით.

**მსჯელობა**

დიმიტრი უზნაძე ომისა და სიკვდილის ფენომენთა მკაცრი მეცნიერული გააზრებითა და დასაბუთებით ცდილობს ჩაგვახედოს სიცოცხლის აზრში. მისი შეხედულებით, ისტორიას ადამიანები ქმნიან და ყველაფერი ამ ისტორიაში ბევრად არის დამოკიდებული ადამიანების მუხტზე – რისთვის იღვწიან ისინი, რამდენად აქვთ გაცნობიერებული თავიანთი ქმედებები. მეცნიერი იძლევა სიცოცხლის ბედის სურათს. იგი თვლის, რომ ყოველი ნაბიჯი ჩვენი ცხოვრებისა სიკვდილის შიშითაა ნაკარნახევი: ,,შიში მთელი ჩვენი ცხოვრების მმართველი პრინციპია, რეგულარური მომენტია ადამიანის მთელი ცხოვრებისა'' (უზნაძე 1986: 213-214). აქედან გამომდინარე, ადამიანებს ორი შესაძლო დასკვნის გაკეთება შეუძლიათ – უკიდურესად პესიმისტურისა და ოპტიმისტურისა. პესიმისტის დასკვნით, თუ ყველას მუდამ თან გვდევს სიკვდილის შიში, ეს იმის გამო, რომ გამოცდილებით (სხვათა) ვიცით სიკვდილის გარდაუვალობა – როგორადაც არ უნდა ზეობდეს სიცოცხლე, ყველაფერი მაინც სიკვდილით მთავრდება. ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, მოთმინებით უნდა ველოდოთ მის მოსვლას. ასეთი განწყობა, დ. უზნაძის აზრით, შიშსაც მოხსნის, თუმცა პესიმისტი მაინც მარცხდება. ქართველ მეცნიერს მოჰყავს შოპენჰაუერის მაგალითი, რომ სიკვდილთან დამეგობრებას მაინც ვერავინ ახერხებს. ისღა დაგვრჩენია, ვაღიაროთ მისი აბსოლუტური ბოროტება. რაც შეეხება ოპტიმისტის მიმართებას, მისი აზრითაც, სიკვდილი ბოროტებაა და მას უნდა ვებრძოლოთ, იგი არ უნდა ზეობდეს ამ ქვეყანაზე.

მხოლოდ ამის შემდეგ სვამს დიმიტრი უზნაძე უფრო ღრმააზროვან კითხვებს: ვერ ვეგუებით სიკვდილს, მისი გვეშინია, იგი ბოროტებაა, მაგრამ ხომ არსებობს? ნუთუ აზრს მოკლებულია? ნუთუ არსად არასოდეს არ აქვს გამართლება? ნუთუ სულ ბოროტებაა? ქვეშეცნეულად შეიძლება ბევრი რამ ვიცით და არ ვდავობთ, მაგრამ დგება მომენტი, როდესაც უნდა დავასაბუთოთ, თუ სიცოცხლეს მართლა სიკვდილით აქვს აზრი? იმის საფრთხეც ხომ არ გვემუქრება, რომ ომის აპოლოგეტებად ვიქცეთ. მაშინ სადაა გამოსავალი?

დიმიტრი უზნაძე გამოკვეთილად სვამს კითხვას: რა დონეზე ვკითხულობთ ჩვენ სიკვდილის ბუნებას? თუ სიკვდილის შესახებ ვიცით მხოლოდ ის, რასაც პრაქტიკულად ვხედავთ და ვგებულობთ, მაშინ თავს ძალას ნუ დავატანთ, აქ სიკვდილი აბსოლუტური ბოროტებაა. ადამიანები ძირითადად პრაქტიკული კითხვებით და პასუხებით არიან დაკავებული და აქ ისინი ამით კმაყოფილდებიან  გარემოსთან შესაგუებლად (ანუ, არსებობისათვის ბრძოლაში). აქვე ახალი კითხვა ჩნდება: ნუთუ არა გვაქვს უფლება ,,მოვინდომოთ მეტი'', ჩავწვდეთ აბსოლუტურს? მეცნიერი ამაზე დადებითად პასუხობს: „ადამიანი პრაქტიკულთან ერთად მეტაფიზიკური სინამდვილის სამკვიდროცაა და ამიტომ ვალდებულიცაა, იფიქროს ამ სინამდვილეზე, ეზიაროს მას ცოდნით'' (უზნაძე 1986: 216-217). სწორედ აქ წამოიჭრება პირველი მეტაფიზიკურად დამაფიქრებელი კითხვა: შეიძლება თუ არა გამოცდილებაში მოგვეცეს სიკვდილის ისეთი ფაქტი, რომელიც არ შეფასდება ბოროტებად?

დიმიტრი უზნაძე ერთი თავისი მეგობრის სიკვდილს იხსენებს, რომელმაც სიკვდილი მას სულ სხვა პრიზმაში დაანახა, მაგრამ მან კარგად იცის, რომ ერთეული გამოცდილებიდან მაინც ძნელია სერიოზული დასკვნის გამოტანა. იგი მასობრივად არსებულამდე მიდის და სავსებით ლოგიკურად ომის თემას ეხება. გუშინდელი ბოროტება შეიძლება დიდ სიკეთედ მოგვევლინოს, ეს ხდება დიდი ომის დროს. კაცის მკვლელი, ბოროტმოქმედი უცებ ხდება გმირი და რაინდი, თუკი იგი მრავალ მოწინააღმდეგეს სიცოცხლეს გამოასალმებს.

ცხადია, ომი ათავისუფლებს ჩვენს სულს ტრაფარეტული გონების კატეგორიებისაგან, უშუალოდ შეგვაფასებინებს სრულიად ახალ სინამდვილეს. ომი უშუალო როდი წარმოადგენს უმაღლეს ღირებულებას; ის უფრო საშუალებაა თურმე იმის ასახსნელად, რაც ადამიანის არსებობის უმაღლეს დანიშნულებას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, სიკვდილ-სიცოცხლე ამ დანიშნულებისთვის ერთი მნიშვნელობისაა; იგი ზოგჯერ სიკვდილს მოითხოვს, ზოგჯერ კი –სიცოცხლეს. აქედან დასკვნა: ,,ჩვენი არსებობის აზრი ჩვენს სიცოცხლეში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ მის გარეთ, მასზე მაღლა'' (უზნაძე 1986: 218). შეიძლება სიცოცხლითაც მიწვდე უმაღლეს მიზანს და სიკვდილითაც.

დიმიტრი უზნაძე ასევე ეხება კაცობრიობის ისტორიის ნათელყოფას ცხოვრების აზრის გარკვევით ბალავარის შენების მაგალითზე. მეცნიერის მტკიცებით, ჩვენი არსებობა (ცხოვრება) გამართლებულია იმ შემთხვევაში, თუკი რაიმე ღირებულს ვქმნით. კაცობრიობის საუკეთესო ნაწილი აშენებს დიდ ისტორიულ შენობას, ზოგიერთს კი ასეთი შენება უაზროდ და სისულელედ მიაჩნია. მეცნიერი იხსენებს რა ისტორიის მშენებლებს კულტურულ შემოქმედთა სახელით, ცდილობს გაარკვიოს ადამიანის სულის მდგომარეობაც. საერთოდ ადამიანთა ისტორიას იგი თვლის ზნეობრივი სრულყოფის ისტორიად.

დიმიტრი უზნაძე კიდევ ორ მთავარ პრობლემასაც ეხება: პირველი, რასაც ისტორიის დასაწყისი ქვია. აქ საჭიროა ,,ისტორიული ატომის'' მიგნება; მეორე, მართალია, ბალავრის მშენებელთა საქმიანობა ქმნის ნამდვილ ისტორიას, მაგრამ როგორი ხასიათისაა იგი? მეცნიერი იწყებს ჯერ პიროვნული, სუბიექტური ერთეული სიცოცხლით, რომელსაც სამართლიანად მიიჩნევს ნამდვილი სიცოცხლის საზრისად, მაგრამ კარგად იცის, რომ ჩვენი ინდივიდულური არსებობა აზრს ვერ შეიძენს,თუ „რაღაც დიდ ერთეულში'' არ ჩაერთო. ასეთ ერთეულად დიმიტრი უზნაძეს მიაჩნია ერი, ეროვნული ერთიანობა. დიდი კულტურული შემოქმედება, როგორც ადამიანური არსებობის საზრისი, შეიძლება წარმოებდეს მხოლოდ რთულ ერთეულთა, ანუ ეროვნებათა, ფარგლებში, რომ მის გარეშე შეუძლებელია ამუშავება სულიერი ცხოვრებისა და, მაშასადამე, წარმოუდგენელია იმ უპირველესი დანიშნულების შესრულებაც, რომელიც ჩვენს არსებობას უნდა ედოს საფუძვლად.

უფრო რთულია საკითხი იმის შესახებ, თუ ფუნდამენტში ისტორიულ ხდომილებებს რა კვებავს, ანუ, როგორ მომდინარეობენ ეს ხდომილებები ფუნდამენტიდან. როდესაც „ამაღლებული სულის ქმედებას'' მივაგნებთ

და გავაანალიზებთ, მაშინ დავინახავთ ჩვენი არსებობის აზრსა და დანიშნულებას. იგი აღიარებს ისტორიას, როგორც ფაქტს და როგორც აქტიურის მიერ პასიურის გააქტიურების დაუსრულებელ პროცესს, როგორც განვითარებას. ეს კი ჭეშმარიტად სულის პრეროგატივად არის მიჩნეული.

რაც შეეხება თვით ადამიანის პრობლემას, იგი განხილულია მთელი თავისი ღირებულებებით და მოთხოვნილებებით საერთო ისტორიულ ასპექტში.

დ. უზნაძის აზრით, თანამედროვე ადამიანი ყველა თავისი ძალის განვითარების დონით საკაცობრიო ისტორიის მუშაობის პროდუქტია, რომ ისტორია ერთადერთი აღმზრდელია ადამიანის ტიპისა, იგი ლესავს და ჭედავს ადამიანს.

**დასკვნა**

დიდი ქართველი მეცნიერის დიმიტრი უზნაძის შრომების გაცნობის შემდეგ ნათელი ხდება, თუ რაოდენ დიდი ყოფილა მისი ინტერესი ისტორიის ფილოსოფიის საკითხებისადმი, რომელთა ღრმა მეცნიერული ანალიზის გაკეთების საფუძველზე აკეთებს დასკვნას, რომ კაცობრიობის განვითარებასთან ერთად ხდება ადამიანის სულიერი ძალების წინსვლაც, ნების გამოვლინების მცდელობა. მთავარ საკითხად კი კვლავ ისტორიის ჭეშმარიტი საზრისის ძიება რჩება, როგორც ადამიანთა მოდგმის უპირველესი ამოცანა.

**გამოყენებული ლიტერატურა**

**უზნაძე 1914:** უზნაძე დ., ომის ფილოსოფია. გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 1914.

**უზნაძე 1915:** უზნაძე დ., ცხოვრების რაობა. გაზეთი ,,მეგობარი“, №69, 1915.

**უზნაძე 1919:** უზნაძე დ., ძველი ისტორია, სისტემური კურსი, წიგნი 1, თბილისი, 1919.

**უზნაძე 1986:** უზნაძე დ., შრომები, თბილისი, 1986.

**უზნაძე 1988:** უზნაძე დ., ფილოსოფიური შრომები, თბილისი, 1988.

**ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია 2013:** ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორია, ტ. IV, რედაქტორი მ. მახარაძე, თბილისი, 2013.